# 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | აქტივობები | პასუხისმგებელი პირი | ჩართული მხარეები | შესრულება/ანგარიში | შესრულების ინდიკატორები | რესურსები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება | ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვა | სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების/ შემუშავება | ხარისხის მართვის მენეჯერი | მასწავლებლები; საგნობრივი კათედრები; | შემუშვებულია სასწავლო პროგრამები/კურიკულუმები. იგი განხილული იქნა კათედრების სხდომებზე და პედაგოგიურ საბჭოზე. დამტკიცდა შესაბამისად. კურიკულუმები გაზიარებულია მშობელთათვის. | კურიკულუმი; საგნობრივი კათედრის ოქმები; პედაგოგიური საბჭოს ოქმი; | არსებული ადამიანური რესურსი |
| | | სასკოლო დოკუმენტაციის მოწესრიგება-დახვეწა . დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა/საჭიროების შემთხვევაში ახლის დამტკიცება | იურისტი | დირექტორი; პედაგოგიური საბჭო; იურისტი; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | იურიდიულად მოწესრიგდა დოკუმენტაცია. დაიწერა საჭირო ბრძანებები .შემუშავდა: 1. სასკოლო სასწავლო გეგმა და დამტკიცდა შესაბამისად. 2. დამტკიცდა სკოლის ბიუჯეტი. 3. გამოცხადდა კონკურსები და მივიღთ ახალი პედაგოგები. 4. სკოლის ყველა თანამშრომელთან დაიდო ხელშეკრულება. 5. მოწესრიგდა საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და ასევე, სხვა საკითხებთან დაკავშორებული ყველა იურიდიული დოკუმენტაცია. | შესაბამისი დოკუმენტაციის დამტკიცების მასალები; დამტკიცების ბრძანება | არსებული ადამიანური რესურსი |
| | | საჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება/სწავლება | სპეციალური მასწავლებელი | დირექტორი; ისგ ჯგუფები; ფსიქოლოგი; | შემუშავდა სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფსიქოლოგისა და პედაგოგების ჩართულობით. შესაბამისი ბრძნებით დამტკიცდა ისგ ჯგუფი. აღნიშნული გეგმა გადამუშავდება კონკრეტული მოსწავლისათვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებული ყველა საკითხი. სკოლა მზადაა მოემსახუროს აღნიშნული ტიპის მოსწავლეებს. | პედაგოგიური საბჭოს ოქმი; ისგ ჯგუფის ოქმები; ინდივიდუალური გეგმები; დამტკიცების ბრძანება | არსებული ადამიანური რესურსი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობისა და სკოლის სივრცეში არსებული სხვა სერვისების შეთავაზება | დირექტორი;<br>ახალგაზრდობის მუშაკი;<br>ხარისხის მართვის მენეჯერი. | დირექტორი; დირექტორის მოადგილე;<br>საგნობრივი კათედრები;<br>მასწავლებლები;<br>ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. | სკოლამ სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს შესთავაზა და აგრეთვე გაითვალისწინა მოსწავლეების სურვილები დამატებითი მომსახურების განხორციელების შესახებ. სკოლამ განახორციელა დამატებით სავალდებულო და არასავალდებულო მომსახურება შემდები სახით: სავალდებულო I-VI კლ; ვოკალი, ხატვა, რობოტექნიკა, ფსიქოლოგის საათი, პროგრამირება IX-XII კლ. კომპიუტერული დიზაინი VI- VIII კლ, სალაპარაკო ინგლისური VII-XII კლ.<br>არასავალდებულო: ინტელექტუალური მათემატიკა (ფაკულტატური) VI-VII კლ; ცურვა I-XII კლ; ტანვარჯიში I-IV კლ.<br>ჭადრაკი- V-VI კლ.<br>კლუბები: კინოკლუბი, ეკოკლუბი, მოლაშქრეთა კლუბი.<br>ასევე სკოლა თავის სივრცეში მოსწავლეებს სთავაზობს კვებას.<br>მნიშვნელოვანია სასკოლო ექსკურსიები, რომლებიც ატარებს შეცნებით ხასიათს. საექსკურსიო სასწავლო გეგმის სტრუქტურა, მნიშვნელობა და განხორციელების გზები ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში.<br>აღნიშნული სავალდებულო და არავალდებულო, ასევე კლუბების პროგრამები შემუშავებულია სასაწავლო წლის დაწყებამდე, დამტკიცებულია შესაბამისად და გაზიარებულია მშობელთათვის.<br>ხელმძღვანელებმა (რომლებთანაც დადებულია შესაბამისი ხელშკრულებები ) სემესტრის ბოლოს წარმოადგინეს ანგარიშები. პედაგოგიურ საბჭოზე მათი მუშაობა ჩაითალა დადებითად. | სასკოლო კურიკულუმი; დამატებითი სასწავლო პროგრამების აღწერილობა შესაბამისი ხელშეკრულებები | არსებული ადამიანური რესურსი |
| | | სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება/განხორციელება | დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით;<br>ხარისხის მართვის მენეჯერი | დირექტორის მოადგილე;<br>დამრიგებლები;<br>ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | სასწავლო წლის დაწყებამდე შემუშავდა სადამრიგებლო პროგრამები. სემესტრის ბოლოს ყველა დამრიგებელმა ჩააბარა ანგარიში რომელშიც ასახულია პროგრამის განხორციელების დეტალები.<br>დამრიგებლებს აქვთ პორტფოლიო.<br>დირექტორის მიერ დამტკიცებულია სადამრიგებლო დებულება.<br>სადამრიგებლო პროგრამები გაზიარებულია მშობელთათვის მათ პირველ მშობელთა კრებაზე. | სადამრიგებლო პროგრამები;<br>დამრიგებლის პორტფოლიო | არსებული ადამიანური რესურსი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა | შიდა სასკოლო პროექტების დანერგვა და მართვა | დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით | დირექტორი; დირექტორის მოადგილე;<br>ხარისხის მართვის მენეჯერი; საგნობრივი კათედრები;<br>მასწავლებლები | სკოლაში ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული: პროექტი ხელოვნებაში X კლ. პროექტი მუსიკაში XI კლ; პროექტი მრეწველობაში  XII კლ.<br>სკოლაში ხორციელდება, არაფორმალური განათლების კუთხით სხვდასხვა კლუბები და წრეები: ვოკალი, ხატვა, რობოტექნიკა,  ფსიქოლოგის საათი, პროგრამირება კომპიუტერული დიზაინი, სალაპარაკო ინგლისური, ინტელექტუალური მათემატიკა, ცურვა, ტანვარჯიში, ჭადრაკი, კინოკლუბი, ეკოკლუბი, მოლაშქრეთა კლუბი. ყოველი სასწავლო დისიპლინა წარმოადგენს გარკვეული სახის პროექტს თავიზი მიზნებით, შედეგებით, პროგრამით, ვადით.<br>სკოლაში ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებსაც გააჩნიათ თვიანთი მიზნები და მიმარტულებები ეს შემოქმედებითია, ინტელექტუალური თუ სპორტული. ამ მიმართულებით სკოლაში  ჩატარდა: ბრეინინგი, მათემატიკული ჭიდილი, ჭადრაკის  ფესტივალი, შემოქმედებითი საღამოები; ფრემბურთი, მინი ფეხბურთი და სხვა, რაც შეეხება დაბალ კლასებს არ მრავალფეროვნებაა ანბანის შემობრძნება; ნამუშვრების გამოფენა და ასე შემდეგ.<br>ასევე სკოლისთვის მნიშვნელოვანია კარიერული კონსულტაცი სკოლისთვის არის მნიშვნელოვანი. ამიტომ სკოლამ დანერგა შიდა პორექტი: პროფესიების კვირეული სადაც მოსაწვალეები ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს, ბაზარზე ამ პორფესიის მოთხოვნებს. გარდა ამისა სკოლაში დავგეგმეთ რამოდენიმე შეხვედრა ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერისტეტებთან. წლის განმავლობასი მონაწილეები ატიურად იყვნენ ჩართულები Gita-ს პროგრამებში: ტექნოლოგიურ კვირეულებში , ჰაკათონებსა და ა.შ,<br>ასევე ჩვენი მოსწავლეები მონაწილეობენ და უკვე ფინალში არიან. ათასწლეულების გამოწვევების ფონდის პორეტში : ინოვაციბეის კონკურსი”. ასევე ჩვენი რობოტიკის კლუბის გუნდმა რობოტების ორთაბრძოლაში ფინალში მიიღო მონაწილეობა და დაიკავა საპრიზო ადგილი. | პროექტის პროგრამა; ფოტო-ვიდეო მასალა | არსებული ადამიანური რესურსი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ახალგაზრდული მუშაკის კოორდინირებით, ჩვენი ინოვატორები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა პროეტებში. მაგალითად: სკოლის 40-მდე მოსწავლე ესწრებოდა ევროპის დღეს, საერთაშორისო განათლების ფორუმს და ა.შ. | | |
| | | დიფერენცირებული სწავლების განხორციელება | კათედრის თავმჯდომარე; ხარისხის მართვის მენეჯერი | მასწავლებლები; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. | საგნობრივი კურუკულუმების შედგენისას პედაგოგებმა განსაზღვრეს მოსწავლეთათვის დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების მეთოდები და ხერხები;<br>პედაგოგთა ანგარიშებში ჩანს მათი დიფერენცირებული მიდგომები; გეგმიური გაკვეთილების სცენარებში გაწერილია მოსწავლეთა დიფერენციული მიდგომა, იგი დამსწრე პედაგოგების ანგარიშებშიცაა ასახული | საგნობრივი კურიკულუმები;<br>პედაგოგების დასწრების ანალიზები | არსებული ადამიანური რესურსი |
| | | სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დამკვიდრება | კათედრის თავმჯდომარე; ხარისხის მართვის მენეჯერი | მასწავლებლები; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. | თემატური კურიკულუმების შედგენისას პედაგოგებს გათვალისწინებული აქვთ კონსტრუქტივისტული (ცოდნის ეტაპობრივი აგების) მიდგომები. გეგმიური გაკვეთილების სცენარებში და კომპლექსურ დავალებებში მასწავლებლებს გამოყენებული აქვთ სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის: მოდელირება, „ხარაჩოს" მეთოდი, რეფლექსია, თანამშრომლობა და სხვა. ყველაფერი ეს ასახულია მასწავლებლის ანგარიშებსა და პორტფოლიოში<br>ამ მიმართულებით მუშაობა იხვეწება. | კურიკულუმი;<br>სასწავლო პროექტები;<br>მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;<br>სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;<br>მასწავლებლის პორტფოლიო | არსებული ადამიანური რესურსი |
| | | ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემის დანერგვა | ხარისხის მართვის მენეჯერი | დირექტორი;<br>კათედრის თავჯდომარეები;<br>ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | ყოველი საგნის თემატურ მატრიცას თან ახლავს შეფასების სისტემები, ასევე შეფასების სისტემა და ანალიზი ახლავს ჩატარებულ შემაჯამებელ დავალებებს, რომლებიც ითვალისწინებს: ვალიდურობას, გამჭირვალობას, ობიექტურობას და სამართლიანობას | კურიკულუმი;<br>მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;<br>შეფასებები | არსებული ადამიანური რესურსი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობა-რემედიაციის პროგრამაში ჩართვა | დირექტორის მოადგილე; ხარისხის მართვის მენეჯერი | დირექტორი; დირექტორის მოადგილე; მასწავლებლები; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | სკოლაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებებისა და მონიტორინგის შედეგები, ასევე საშინაო დავალებებსა და სასკოლო სამუშაოებში მიღებული ნიშნების საფუძუძველზე თუ ვიმსჯელებთ, სკოლას დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლე არ ჰყავს. თუ რომელიმე მოსწავლეს რამე უჭირდა, უტარდებოდა დამატებითი მეცადინეობები. სკოლა მზადაა, საჭიროების შემთხვევაში ჩაერთოს რემედიციის პროგრამაში. | მოსწავლის აკადემიური მხარდაჭერის; მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიში; | არსებული ადამიანური რესურსი |
| | სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება | სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავება. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით | ხარისხის მართვის მენეჯერი | დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები, მოსწავლეთათვის, მშობლებისათვის და მასწავლებლებისათვის. კითხვარები შემუშავებულია ელექტრონულად და ისეთი მეთოდოლოგიით, რომ მათი პასუხებით ვიღებთ სკოლისთვის საინტერესო უკუკავშირებს. გამოკითვა ჩატარდა პირველი სემესტრის ბოლოს და გაკეთდა ანალიზი. ანალიზის შედეგებს მოჰყვა რიაგირება როგორც სასწავლო მიმართულებით, ისე კადრების გადაადგილებით. | კითხვარების ანალიზი | არსებული ადამიანური რესურსი |
| | | სასწავლო პროცესის დიაგნოსტიკური წერების ჩატარება სასწავლო წლის განმაელობაში ერთხელ მაინც | ხარისხის მართვის მენეჯერი | დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად V-XI კლასებში სემესტრის ბოლოს ჩატარდა დიაგნოსტიკური წერები ყველა საგანში. გაკეთდა ანალიზი, შედეგი თითქმის ემთხვევა შემაჯამებელ წერებს. | ჩატარებული დიაგნოსტიკური წერის ანალიზი | არსებული ადამიანური რესურსი |
| | | სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, პერიოდულად მონიტორინგის ჩატარება | ხარისხის მართვის მენეჯერი | დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „ხარისხის განვითრების პოლიტიკა“,რომელიც მუშაობს PDCA(დაგეგმე → განახორციელე → შეამოწმე → განავითრე) ციკლის პრინციპით. სასკოლო სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით (როგორც ერთ-ერთი ინსტრუმენტი) სკოლაში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: გაკვეთლზე დასწრება როგორც „კრიტიკული მეგობარი“; გეგმიურ გაკვეთილებზე (უფროსი მასწავლებელი 3 გაკვეთილი, წამყვანი 2 გაკვეთილი, მენტორი 1 გაკვეთილი) დასწრება და ანალიზი; | განხორციელებული მონიტორინგის ანგარიში | არსებული ადამიანური რესურსი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | კომპლექსური დავალებების შესწავლა,; შაჯამებელი სამუშაოების ანალიზი თვისი დინამიკით გამოყვანილია თითოეული მოსწავლის მიღწევების პროცენტი საგნის, კლასის და კათედრების მიხედვით. თვალყურს ვადევნებით პედაგოგთა პორტფოლიოს, სადაც პედაგოგები მუდმივად ტვირთავენ თავიანთ შედეგებს | | |
| | | სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულების მონიტორინგი | ხარისხის მართვის მენეჯერი | დირექტორი; დირექტორის მოადგილე;<br>ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | სკოლას შემუშავებული, განხილული და დამტკიცებული აქვს: შპს ინოვაციების სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების; და შპს „ინოვაციების სკოლის“ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ამ დოკუმენტებიდან გამომდინარე სკოლას შემუშავებული, განხილული და დამტკიცებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს სხავადასხვა მიმართულებებს სკოლის მიერ სასწავლო წლის დაწყებამდე შემუშავდა სასწავლო გეგმები/კურიკულუმები, რომელზეც დაყრდნობით მიმდინარეობდა სწავლა/სწავლების პროცესი ანუ დანერგვა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა პუნქტის. პროცესი მუდმივად იყო დაკვრვების ქვეშ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრების მიერ. მოწმდებოდა შესრულებული შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების შესრულების ხარისხი, ასევე გაკვეთილებზე დასწრებით მოწმდებოდა პედაგოგთა კვალიფიკაცია, მშობლებთან და მოსწავლეებთან კონტაქტებით ვადგენდით საჭიროებებსა და არასაჭირო მოვლენებს. ხდებოდა უკუკავშირებიყველა მიმართულებით.<br><br>სემესტრის ბოლოს ანგარიშები ჩააბარეს ყველა მასწავლებელმა, დამრიგებელმა, კლუბებისა და ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა, რომლის ანალიზით ნაწილობრის დადგინდა თუ რაა არის შესაცვლელი სასკოლო სასწავლო. მუშაობა გაგრძელდება მეორე სემესტრში და წლის ბოლოს გვექნება სრული სურათი თუ რა იქნება შესაცვლელი მომდევნო სასწავლო წელს. | ბრძანებები. პედსაბჭოს და კათედრის ოქმები | არსებული ადამიანური რესურსი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესრულების მონიტორინგი | დირექტორი; დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმარტულებით; ხარისხის მართვის მენეჯერი; ფსიქოლოგი; საგნების მიხედვით სასწავლო გეგმის ხელმძღვანელები | დირექტორი; დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმარტულებით; ფსიქოლოგი; საგნების მიხედვით სასწავლო გეგმის(კურიკულუმები) ხელმძღვანელები; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | სკოლას შემუშავებული, განხილული და დამტკიცებული აქვს ,, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა“. ვინაიდან სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე მონიტორინგიც ამ მიმართულებით არ განხორციელებულა. | სასკოლო სასწავლო გეგმა ბრძანებები | არსებული ადამიანური რესურსი |
| | | საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, შედეგების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციე ლება | დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით; ხარისხის მართვის მენეჯერი | დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი; (სადაც შედის კათედრის გამგეები). | სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც სხვა საკითხების პარალელურად მეთვალყურეობს, გაკვეთილების ჩატარების ხარისხს. მიმდინარე სემესტრში ჩატარდა რამდენიმე გეგმიური გაკვეთილი. მასწავლებლებს წინასწარ შედგენილო ჰქონდათ გაკვეთილის გეგმა(სცენარი), ჩატარებისას მას ესწრებოდნენ ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრი/წევრები და წინასწარ გამზადებული შეფასების სისტემით ფასდებოდა მასწავლებელი. გაკვეთილის ბოლოს ხდებოდა გაკვეთილის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იგეგმებოდა ცვლილებები.<br>ჩატარებული გაკვეთილების საერთო ანალიზი განიხილებოდა ხარისხის განვითრების ჯგუფის სხდომებზე და შედეგი აისახებოდა ოქმებში. აღნიშნული ღონისძიებები გაგრძლდება მეორე სემესტრშიც. | გაკვეთილზე დასწრების შედეგები და მისი ანალიზი; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები; ურთიერთდასწრების შედეგები | არსებული ადამიანური რესურსი |
| | აკადემიური მოსწრების გაუმჯობესე ბისთვის მოსწავლეებ ში მოტივაციის გაზრდა | პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მომსახურეობა | -დირექტორის მოადგილი<br>-ხარისხის მართვის მენეჯერი | - დირექტორის მოდგილე სასწავლო მიმართულებით.<br>-ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. | სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ,,ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“ რომელიც განსაზღვრავს, თუ რა მომსახურებას გაწევს სკოლის დირექცია პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მიმდინარე სემესტრის დაწყებამდე პედაგოგებს ჩაუტარდათ ტრენინგი, თუ როგორ უნდა შეედგინათ კურიკულუმები, რას მოითხოვს კომპლექსური დავალება და ასე შემდეგ. ადაპტაციის | დებულებები, ფაქტები | არსებული ადამიანური რესურსი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | პერიოდში განსაკუთრებული ყურადღებსა ექცევა ახალმოსულ მასწავლებლებს.<br>სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ადაპტაციის დებულება.<br>ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება მეორე სემესტრშიც. | | |
| | | მოსწავლეთათვის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა | -დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით;<br>-ხარისხის მართვის მენეჯერი;<br>ახალგაზრდობის მუშაკი | დირექტორი;<br>დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით;<br>მასწავლებლები;<br>-ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი;<br>-ახალგაზრდული მუშაკი | სკოლას შემუშავებული აქვს ,,მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები" და ,,მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება", რომლის მიხედვითაც ხდება მოსწავლეების იდეების მხარდაჭერა და თვითმართველობის მიერ მათი განხორციელება. მიმდინარე სემესტრში მოსწავლეთა ინიციატივიდან გამომდინარე შეიქმნა მოლაშქრეთა კლუბი და მის ფარგლებში გვქონდა სპორტული გასვლითი ტური ორბეთის მწვანე სივრცეთში, ასევე შექმნილია ეკოკლუბი და მათი აქტიურობით და ინიციატივით სკოლაში დაიდგა ელექტრო დანადგარი რომელშიც თავსდება პლასმასის ბოთლები.<br>აღნიშნული ღონისძიებები ფართო სახით გაგრძელდება მეორე სემესტრშიც. | დებულებები. ფაქტები | არსებული ადამიანური რესურსი |
| | | ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართვა და წარმატებული მოსწავლეების წახალისება | დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით | დირექტორი;<br>დირექტორის მოადგილე;<br>სასწავლო მიმართულებით;<br>მასწავლებლები; | სკოლის მოსწავლეები ჩართული იყვნენ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ჩატარებულ საგნობრივ ოლიმპიადებში, ასევე ,,კინგსის" ოლიმპიადაში. რამდენიმე მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო ,,ფლექსის" ტურში. შედეგებით ვერ ვიტრაბახებთ, მაგრამ ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა.<br>უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ოთხი მაღალკლასელი იმყოფებოდა საერთაშორისო ბანაკში ჩეხეთში, მათგან ერთი მოსწავლე სკოლამ დააფინანსა. | კონფერენციებში, პროექტებში და ოლიმპიადებში მონაწილეობის შედეგები | არსებული ადამიანური რესურსი |

## 2. ადამიანური რესურსის განვითარება

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | აქტივობები | | ჩართული მხარეები | | |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | პასუხისმგებელი პირი | | შესრულება/ანგარიში | შესრულების ინდიკატორები | რესურსები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადამიანური რესურსის განვითარება | პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება | პერსონალის მართვის პოლიტიკის დანერგვა. | -დირექტორი;<br>-დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულე-ბით; დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით<br>-ხარისხის მართვის მენეჯერი;<br>-საკონკურსო კომისია | -დირექტორი;<br>-დირექტორის მოადგილე; სასწავლო მიმართულებით;<br>-დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით<br><br>-ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი<br>-საკონკურსო კომისია | სკოლას შემუშავებული და შესაბამისად, დამტკიცებული აქვს „ადამიანური რესურსების განვითარების მექანიზმები“ და „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, სადაც ცალკე გაწერილია პერსონალის მართვის პოლიტიკა. განსაზღვრულია: აკადემიური (მასწავლებლები, დამრიგებლები), ადმინისტრა-ციული (სკოლის მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთულების ხელმძღვანელები) და დამხმარე (რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალურ-ტექნიკური თუ სხვა საშუალებებით მხარდაჭერას) პერსონალი.<br><br>პერსონალის უფლება-მოვალეობებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი.<br><br>სკოლას განსაზღვრული და შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებუ-ლი აქვს „დასაქმებულთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები”, რომ-ლის მიხედვითაც ვხელძღვანელობთ. კერძოდ, სასწავლო წლის დაწყებამდე განვსაზღვრეთ საჭირო ადამიანური რესურსის ნაკლოვანება და კანონით განსაზღვრული წესით გამოცხადდა კონკურსი. შერჩულ პიროვნებებთან ჩატარდა გასაუბრება, შედგა შესაბამისი ოქმები, შესაბამისი დოკუ- მენტაციის წარმოდგენის შემდეგ დავდეთ ხელშეკრულებები. სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობდა დაკვირვება პერსონალის მუშობაზე, სემესტრის ბოლოს შეივსო სპეციალური ფორმები ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის და განსხვავებული ფორმები პედა-გოგებისათვის , რომლებიც ითვალისწინებს გაკვეთილზე დასწ-რებასაც. ფორმები განთავსებულია ზემოთ ხსენებულ დებულე-ბებში. ანალიზის შედეგად ჩატარდა პერსონალთან გასაუბრება მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ზოგიერთ პედაგოგს მოუხდა კლასების შეცვლა და ჩამორთმევა. ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები. | სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი; შინაგანაწესი; პერსონალთან გასაუბრების შედეგები | არსებული ადამიანური რესურსი |
| | | პერსონალის მართვისას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვა | -დირექტორი,<br>-დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით; დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით | -დირექტორი,<br>-დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით;<br>-დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით | სკოლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ჯგუფური მუშაობა. ამ მიზნით შექმნილია კათედრები, ხარისხის მართვის ჯგუფი, დისიპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმართვე-ლობა. სკოლას ჰყავს „ახალგაზრდული მუშაკი“, რომელიც ხელმ-ძღვანელობს კლუბების მუშაობას. გუნდური მუშაობის შედეგად კათედრებმა შექმნეს თავიანთი სამოქმედო გეგმა, კურიკულუმე-ბი, ესწრებოდნენ ერთმანეთს, როგორც „ კრიტიკული მეგობარი“. კლუბებში გაერთიანებული იყვნენ ერთნაირი სურვილისა და მისწრაფებების | კათედრების, პედაგოგიური საბჭოს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი; მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია; | არსებული ადამიანური რესურსი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | -ხარისხის მართვის მენეჯერი | -ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.- | მოსწავლეები, რაც საფუძველი გახდა ერთობლი-ვად საქმის კეთებისა და სხვა.<br>წარმოდგენილი ანგარიშების დამუშავების შედეგად გამოიკვეთა მუშაობის სუსტი და დადებითი მხარეები. მეორე სემესტრში, ვფიქრობთ, გაუმჯობესდება მდგომარეობა. | | |
| | | თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა | -დირექტორი,<br>-დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით;<br>დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით<br>-ხარისხის მართვის მენეჯერი | -დირექტორი,<br>-დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით;<br>-დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით<br>-ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.- | სკოლას შემუშავებული და სათანადო ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მოწყობისა და ადაპტა-ციის პროცედურა", სადაც გაწერილია: სამუშაოზე გამოსვლის პერიოდი; პირველი სამუშაო დღის გეგმა (შეხვედრა დირექტორ-თან ან წარმომადგენელთან, სკოლის ფიზიკური გარემოს გაცნობა, ძირითადი დოკუმენტების გაცნობა; სკოლის თანამშრომლებთან წარდგენა,კლასებისა და მასწავლებლის შემთხვევაში ელექტრო-ნული ჟურნალის გაცნობა და სხვა), შესაბამისად, შეივსო ანკე-ტები. ასევე გათვლილია ადაპტაცია პირველი სამუშაო დღიდან ორ კვირამდე და პირველი სამი თვის პერიოდი, რომლის შემდეგ პედაგოგი ავსებს ანკეტას. ასევე გათვალისწინებულია ერთი თანამდებობიდან მეორე თანამებობაზე გადასვლის, დეკრეტიდან დაბრუნების შემდგომ ადაპტირების მექანიზმები. | ადაპტაციის ხელშემწყობი აქტივობები;<br>პედაგოთა მიერ შევსებული ანკეტები | არსებული ადამიანური რესურსი |
| | | ადამიანური რესურსის მუდმივი განვითარება | -დირექტორი,<br>-დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით;<br>დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით<br>საქმისწარმოებელი<br>-ხარისხის მართვის მენეჯერი | -დირექტორი,<br>-დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით;<br>-დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით<br>-ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.<br>საქმისწარმოებელი | სკოლას შემუშვებული და დამტკიცებული აქვს ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", რომელიც მუშობს PDCA ციკლის პრინციპით. ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკა შეესაბამება სკოლის მისიას, ღირებუ-ლებებსა და ძირითად მიზნებს.<br><br>მიმდინარე სემეტრში კათედრების ფარგლებში მიმდინარეობდა ერთმანეთთან დასწრება, როგორც ,,კრიტიკული მეგობარი". ასევე მასწავლებელთა გარკვეულმა ნაწილმა ჩაატარა გეგმიური გაკვე-თილები, რომლებსაც ესწრებოდნენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, გაკვეთილებზე დასწრების შემდეგ მოხდა ჩატარებული გაკვეთილის გაანალიზე-ბა და შეფასება, გაიცა რეკომენდაციები.<br><br>დამრიგებლებისათვის ადმინისტარციამ ჩაატარა მცირე ტრენინგი მათ გააცნეს, თუ რა მოთხოვნებია მათ წინაშე. სემესტრის ბოლოს დამრიგებლებმა ჩააბარეს ანგარიშები, რომელთა ანალიზის შედე-გად დადებით მხარესთან ერთად გამოვლინდა გარკვეული სახის ნაკლოვანებები, ასეთ დამრიგებლებს მიეცათ რეკომენდაციები. ერთმა დამრიგებელმა დატოვა კლასი.<br><br>დამხმარე პერსონალთან მუდმივად განვიხილავდით შესრულე-ბული | ხარისხის განვი-თარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები;<br>დასაქმებულთა პირადი საქმეები | არსებული ადამიანური რესურსი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სამუშაოებს და ვგეგმავდით უკეთ გაგრძელების გზებს. მოწესრიგებულია პედაგოგთა პირადი საქმეები. ექიმისა და ექთნის მხარდაჭრით მოწვეულმა სპეციალისტებმა მოსწავლეებს ჩაუტარეს სამედიცინო გამოკვლევები სხვადასხვა მიმართულე-ბით. აღნიშნული ღონისძიება ამავე დროს გახლდათ სკოლის ექიმისა და ექთნისათვის კონსულტაციებიც.<br><br>თავის მხრივ პედაგოგები მუდმივად იყვნენ ჩართულები განათლების რეფორმის თვითგანხილვებში. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდნენ ლატვიასა და ესტონეთში, სადაც გაეცვნენ იქაური განათლების რიგ საკითხებს.<br><br>ხუთი მასწავლებელი ჩართულია ახალი საგნობრივი სტანდარ-ტების განხილვაში, რომელიც მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმით. | | |
| | აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა | ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება | -დირექტორი<br>-ხარისხის მართვის მენეჯერი | -დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საკონკურსო კომისია; ხარისხის მართვის მენეჯერი | შპს ინოვაციების სკოლა პედაგოთა შერჩევის მიზნით აცხადებს კონკურსს teacher.jobs.ge-ზე. დირექცია განიხილავს ყველა კან-დიდატს. ვუკავშირდებით ტელეფონით და ვარკვევთ გარკვეული სახის საკითხებს. ზოგი სხვა ქალაქშია, ზოგი ვერ ახერხებს მოსვ-ლას გზის გამო და ა.შ. შერჩეულ პედაგოგებთან ხდება გასაუბრე-ბა და მათი შეფასება ანკეტური სახით. დგება შესაბამისი ოქმები, სკოლისთვის მისაღები კანდიდატი ეცნობა სკოლის შენაგანაწესს, ყველა აუცილებელ დოკუმენტს და მასთან ფორმდება ხელშე-კრულება. რაც შეეხება დამხმარე პერსონალს, მათთვის კონკურსი ცხადდება ადგილობრივად, საჭიროების შემთხვევაში teachevjobs.ge -ზე | პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია; | არსებული ადამიანური რესურსი |
| | ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება | თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა | -დირექტორის მოადგილეები<br>-ხარისხის მართვის მენეჯერი | -დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | სკოლის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტარდება სხვადასხვა აქტივობები: ურთიერთდასწრება როგორც „კრიტიკული მეგობარი“, გეგმიური გაკვეთილების ანალიზი და პედაგოგთათვის უკუკავშირი ხარისხის განვითარე-ბისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ; ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი მასწავლებლების მიერ და ბოლოს კათედრის გამგეების მიერ. ასევე ანალიზი უტარდება კომპლექსური დავალებების შესრულების ხარისხს და პედაგოგთა მიერ პორტფოლიებში სამუშაოების აღწერას. ყველა სახის უკუ-კავშირი უბრუნდებათ პედაგოგებს. მიღებულ შედეგებსა და საჭი-როების შემთხვევაში მათ განვითარებაზე საუბრები ტარდება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ. | კითხვარების ანალიზი; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის უკუკავშირი; კათედრების ურთიერთდასწრების შესახებ ოქმები | არსებული ადამიანური რესურსი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სხვადასხვა აქტივობების განხორციელება და განვითარების მუდმივი კონტროლი | -დირექტორის მოადგილე<br>-ხარისხის მართვის მენეჯერი | -დირექტორი;<br>დირექტორის მოადგილე;<br>ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | სკოლაში ჩატარებული ნებისმიერი აქტივობა ანალიზდებოდა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ. პედაგოგებს ეძლე-ოდათ უკუკავშირი და მუდმივად მიმდინარეობდა საუბრები უკეთ განვითარების გზების დასახვაზე. ეს აქტივობებია: მიმდი-ნარე სასწავლო პროცესი; კურუკულუმების შედგენა-განხორციე-ლება; შემაჯამებელი დავალებების შესრულება; შეფასების სისტე-მის შექმნა და ნამუშევართა ანალიზი; კომპლექსური დავალებებე-ბის შესრულება და განხორციელება; პედაგოთა პორტფოლიების წარმოების ხარისხი; გეგმიური გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება; პედაგოგთა ურთიერთდასწრება და მათი შედეგი და სხვა. | -დირექტორის მოადგილის ანგარიში;<br>-ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში | არსებული ადამიანურ ი რესურსი |
| | | თანამშრომელთგ ანვითარებისთვი ს საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა | -დირექტორის მოადგილე<br>-ხარისხის მართვის მენეჯერი | -დირექტორი;<br>დირექტორის მოადგილე;<br>ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | შპს ინოვაციების სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად მუშაობს პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სხვადასხვა ტრენინ-გებისა და სემინარების ჩატარებაზე. მიმდინრე სემესტრში ეს ფუნქცია ძირითადად იკისრა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფმა. პედაგოგებს მიეწოდათ საჭირო ინფორმაცია, თუ როგორ უნდა შეედგინათ კურიკულუმი, სამუშაო გეგმა, გაკვეთილების გემა-კონსპექტი (სცენარი). მიმდინარე სემესტრში სამმა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი და გახდა  უფროსი მასწავლებლი, ერთი ჩაერთო მაძიებლის პროგრამაში.<br>გარდა ამისა მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრნეინგები AI მიმართულებით, ასევე მცირე ტრნეინგები ციფრული უნარების განვითარების ჭრილში.<br>გარდა ამისა სკოლისთვის მნიშვნბელოვანია მასწავლებელთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობა ამიტომ პერიოდულად სკოლა აორგანიზებს შეხვედრა-სემინარებს ფსიქოთერაპერთან და მასწავლებლებს ასწვალის თვითკონრტოლს, ემპათიას და ა.შ. | ტრენინგების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>ტრენინგებზე დასწრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა | არსებული ადამიანურ ი რესურსი მასწავლებ ლის სახლი |
| | | ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა | დირექტორი | -დირექტორი;<br>დირექტორის მოადგილე;<br>ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ პედაგოგთათვის ჩატარებულმა გარკვეული სახის ტრენიგ-სემინარებმა შედეგი გამოიღო. მათ სასაწავლო წლის დაწყებამდე შეადგინეს საგნობრივი კურიკულუმები, გააკეთეს კომპლექსურ დავალებების მონახაზი, შეადგინეს სამოქმედო გეგმები და განახორციელეს ის ნაწილი, რომელსაც პირველი სემესტრი მოითხოვდა.<br><br>ხარისხის მართვის მენეჯერი დაესწრო პედაგოგთა სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, სადაც განხილული იყო სკოლაში პროცესების მართვა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, ვერიფიკაცია და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. მიღებული ცოდნა გაუზიარა  პედაგოგებსაც. | ჩატარებული გაკვეთილები და საგნობრივი კურიკულუმები | არსებული ადამიანურ ი რესურსი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მაძიებლობის სტატუსის მქონე მასწავლებლებთან ტუტორების აქტიური მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში შიდა სასკოლო კონსულტაციების გამართვა | ტუტორი | -დირექტორი,<br>-დირექტორის მოადგილე,<br>-ტუტორები | შპს სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს ერთი მაძიებელი მასწავლებელი. მას გამოეყო ტუტორი და მიმდინარეობს ერთობლივი მუშაობა | ტუტორის განსაზღვრის შესახებ ბრძანება; შეხვედრების გრაფიკი; მაძიებლის პორტფოლიო | არსებული ადამიანური რესურსი |
| | | მასწავლებელთა წახალისების სისტემის დანერგვა | -დირექტორი | -დირექტორი,<br>-დირექტორის მოადგილეები | სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია პედაგოგთა წახალი-სების ფორმები. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ,,ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები“ და ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, სადაც გარკვე-ული ადგილი უჭირავს მასწავლებელთა (და არა მარტო მასწავ-ლებელთა) მოტივაციის ამაღლების ღონისძიებებს. გასულ სემეს-ტრში წახალისების მიზნით ესტონეთში მივლინებული იყო სამი პიროვნება, რომლებიც გაეცნენ იქაურ განათლების სისტემას. ჰქონდათ სხვადასხვა სახის შეხვედრები სკოლასა და უნივერსი-ტეტში. მეორე სემესტრში დაგეგმილია და უკვე ცნობილია ვინა-ობა იმ მასწავლებლებისა (ასაკი 30 წლამდე), რომლებიც გაემ-გზავრებიან იტალიაში, სადაც ისინი გაეცნობიან იქაური სკოლის სტრუქტურასა და მუშაობის ფორმებს.<br><br>საერთაშორისო გამოცდილების მისაღებად 5 მასწვალებელი , სრული დაფინანსებით, erasmus + ფარგლებში გაგზვანილი გვყავდა იტალიაში, ქ. ტურინში .<br><br>ერთი მასწვალელებლი ჩავრთეთ გრძელვადიან საერთაშორისო პროეტში რომლის ფარგლებშიც ბაკურიანში და ერევანში ჩაერთო ტრნიენგებში და დასკვნით ეტაპზე უნგრეთში მიდის კონფერენციაზე. | შინაგანაწესი; წახალისების შესახებ გადაწყვეტილებები | არსებული ადამიანური რესურსი |
| | | გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლების ათვის უკუკავშირის გაზიარება | ხარისხის მართვის მენეჯერი | -ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | მიმდინარე სემესტრში ჩატარდა გეგმიური(უფროსი მასწავლე-ბელი) გაკვეთილი. პედაგოგებს წინასწარ ჰქონდათ შედგენილი გაკვეთილის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საგანს, კლასს, თემას, რომელი სამიზნე ცნებები დამუშავდა, რომელ ინდიკა-ტორიზე გაველით. ასევე შედგენილი იყო შეფასების სისტემები.<br>გაკვეთილის ჩატარებისას პედაგოგს ესწრებოდნენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები, | ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები | არსებული ადამიანური რესურსი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | რომლებმაც პედაგოგი შეაფასეს წინასწარ შემუშავებული შეფა-სების ცხრილით. გაკვეთილის ბოლოს ხდებოდა გაკვეთილის განხილვა პედაგოგისა და ხარისხის განვითარებისა და პროფე-სიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრების მიერ. მიმდინარეობდა საუბრები განვითარების მიმართულებით საჭირო ღონისძიებებსა თუ რესურსებზე. | | |
| | | მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით, მასწავლებელთა კოორდინირებული მუშაობა | -კათედრის თავმჯდომარე | -საგნობრივი კათედრები | სკოლაში ფუნქციონირებს ოთხი კათედრა: დაწყებითების, მათე-მატიკის, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო საგნების, საზოგადოებრივი მეცნიერების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის და ჰუმანიტარული (ქართულისა და უცხო ენების). კათედრებს გააჩნიათ თავიანთი სამოქმედო გეგმა. კათედრებზე ერთობლივი მუშაობით ხდება სახელმძღვანელოების შერჩევა, საათების განაწილება, კურიკულუმებზე მუშაობა, შემაჯამებელი დავალებების შეფასების სისტემის შედგენა, კომპლექსური დავალების დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილების გაზიარება. კათედრის წევრები ხშირად ესწრებოდნენ ერთმანეთს გაკვეთილებზე, როგორც „კრიტიკული მეგობარი". | საგნობრივი კათედრების ოქმები; ურთიერთდასწრების შედეგები | არსებული ადამიანური რესურსი |
| | | ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში საგნობრივ შეხვედრებში მონაწილეობის ხელშეწყობა | -დირექტორის -მოადგილე ხარისხის მიმართყლებით -ხარისხის მართვის მენეჯერი | -დირექტორი, -დირექტორის მოადგილე -ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში, ხუთი მასწავლე-ბელი ჩაერთო ახალი სტანდარტების განხილვაში. რაც შეეხება საგნობრივი შეხვედრების ნაწილს, პედაგოგები ძირითადად ონლაინ რეჟიმით ისმენდნენ სხვადასხვა სპეციალისტების ვებინარებს და ამკვიდრებდნენ მათ თავიანთ საქმიანობაში | დირექტორის მოადგილის ანგარიში | არსებული ადამიანური რესურსი |

## 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | აქტივობები | პასუხისმგებელი პირი | ჩართული მხარეები | შესრულება/ანგარიში | შესრულების ინდიკატორები | რესურსები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება | ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; | სკოლის კეთილმოწყობა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და განვითარება | ბუღალტერი დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით | -ბუღალტერი -დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით -ხარისხის მართვის მენეჯერი | სკოლამ არა მარტო შეინარჩუნა არსებული მდგომარეობა, არამედ ჩატარდა რიგი სამუშაოები: პირველ და მეორე სართულზე ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი, ხოლო მესამეზე- კაპიტალური რემონტი (გაილესა კედლები, დაიგო იატაკი, გაკეთდა ელექტროგაყვანილობა და გათბობის სისტემა), შენობა გადაიხურა რბილი სახურავით, ეზოში დაიგო ბეტონი. დაიწყო და თითქმის დასრულდა მწვანე მოედნის მოწყობა | დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით ანგარიში ინვენტარიზაციის დოკუმენტი | არსებული ადამიანური რესურსი, ბიუჯეტი |
| | | ინვენტარის და სხვა მასალების შეძენა (საჭიროებისამებრ) | -ბუღალ-ტერი დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით | -ბუღალტერი -დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით -ხარისხის მართვის მენეჯერი | სკოლის კოსმეტიკური და კაპიტალური რემონტისათვის შეძენილია საჭირო მასალები, სკოლამ დამატებით შეიძინა 150 ცალი მერხი და სკამი, დაფები, საკანცელარიო ნივთები, ორი დიდი მოძრავი ტელევი-ზორი(საჭიროებისამებრ მასწავლებლებს შეაქვთ საკლასო ოთხებში), ექვსი მცირე ზომის ტელევიზორი, რომლებიც განთავსებულია დაწყე-ბით კლასებში (მასწავლებლები მათ იყენებენ სხვადასხვა ვიზუალუ-რი მასალის საჩვენებლად და სხვა). დამატებით შევიძინეთ ექვსი ბოლო მოდელის კომპიუტერი. | ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები ან სხვა საბუღალტრო დოკუმენტაცია ინვენტარიზაციის დოკუმენტი | არსებული ადამიანური რესურსი, ბიუჯეტი |
| | | საჭიროების შემთხვევაში კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოების ჩატარება | ბუღალტერი დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით | -ბუღალტერი -დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით -ხარისხის მართვის მენეჯერი | სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლას ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას აქვს მუდმივი ცვეთა, ჩვენც მუდმივად ვატარებთ მცირე კოსმეტიკურ თუ შეკეთებით სამუშაოებს. | ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | არსებული ადამიანური რესურსი, ბიუჯეტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საგანმანათლებლო/<br>სასწავლო<br>რესურსების<br>განახლება<br>/შევსება | წიგნადი ფონდის შევსება, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების მოძიება | ბიბლიოთკარი<br>ბუღალტერი | ბიბლიოთკარი<br>ბუღალტერი<br>პედაგოგები | სკოლაში მუდმივად ხდებოდა და მომავალშიც გაგძელდება ბიბლიო-თეკის წიგნებით მომარაგება (საბავშვო, საკითხავი, გრიფირებული სახელმძღვანელოები, მეთოდური, ელექტრონული რესურსი და სხვა)<br><br>სკოლას შემუშვებული, განხილული და დამტკიცებული აქვს „ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“,რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს წიგნების მოვლა-პატრონობასაც. | ბიბლიოთეკარის<br>ანგარიში;<br>საბუღლტრო<br>დოკუმენტაცია<br>ინვენტარიზაციის დოკუმენტი. | არსებული<br>ადამიანური<br>რესურსი,<br>ბიუჯეტი |
| | | ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების ცდების ჩატარებისათვის აუცილებელი მასალებით მომარაგება | ბუღალტერი<br>დირექტორის<br>მოადგილე<br>სამეურნეო<br>მიმართულებით | -დირექტორი,<br>-დირექტორის მოადგილე სამეურნეო მიმართულებით<br>-შესაბამისი პედაგოგი<br>-ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი | სკოლას აქვს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განთლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ლაბორატორია მუდმივად მარაგდებოდა და კვლავ მომარაგდება ცდების ჩატარებისათვის საჭირო მასალით. ასევე ცდების ჩატარების ვიზუალიზაციას ვახდენთ ვიარ სათვალეებით, კომპიუტერით, პროექტორით, ტელევიზორით და სხვა.<br><br>სკოლას შემუშვებული, განხილული და დამტკიცებული აქვს „ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომლის გათვალისწინებით ხდება ლაბორატორიაში არსებული რესურსის მოვლა-პატრონობა. | საბუღლტრო<br>დოკუმენტაცია | არსებული<br>ადამიანური რესურსი |
| | | მასწავლებლისათვის მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის შეძენა | ბიბლიოთკარი<br>ბუღლტერი | -დირექტორი,<br>-დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით<br>-ბიბლიოთეკარი<br>-ბუღალტერი<br>-მასწავლებლები | სკოლაში მუდმივად ხდებოდა და მომავალშიც გაგრძელდება სკოლის ბიბლიოთეკის წიგნებით მომარაგება, მათ შორის მიეწოდებოდა მეთოდური ლიტერატურა როგორც მატერიალური, ისე ელექტრონუ-ლი სახით, ხოლო მათი გამოყენება ხდება სკოლაში შემუშავებული, განხილული და დამტკიცებული „ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“-ის მიხედვით. | ბიბლიოთკარის<br>ანგარიში<br><br>საბუღლტრო<br>დოკუმენტაცია | არსებული<br>ადამიანური რესურსი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
